დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №39

2018 წლის 21 ნოემბერი
ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მთისთვის ეროვნული გმირის - ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ'' მე-7 მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მთას (გეოგრაფიული კოორდინატები: X-518493; Y-4693900) მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული საქართველოს ეროვნული გმირის - ზურაბ იარაჯულის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ –სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს.

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-7 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

4. განკარგულება მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნებულ იქნეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი გასაჩივრება შეიძლება ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამრთი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა N17).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ინაშვილი